საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №11

ქ. ბათუმი 02 მარტი, 2017 წ.

„ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 06 ივლისის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილება „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016-2017 სასწავლო წლის ორგანიზებულად წარმართვის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2016 წლის 06 ივლისის №40 დადგენილებაში, კერძოდ, დადგენილების პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ვ) გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2017 წლის 27 თებერვალს, ორშაბათს და დამთავრდეს 2017 წლის 17 ივნისს, ხოლო ამავე სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია დასრულდეს არაუგვიანეს 2017 წლის 10 მარტისა;"

2. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ–ს კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ასევე ბსუ–ს ვებ–გვერდზე და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ–ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

3. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**